# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 156 ხუთშაბათი, 16 ივლისი 1909 წ. № 156

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტის ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ხასიათი[illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] რა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნ.ომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

## ქართული საზაფხულო თეატრი და ბაღი

ხუთშაბათს 16 ივლისს, ქართ. მსახიობთა ამხანაგ. მიერ გამართული იქნება

**საზოგადო სეირნობა და წარმოდგენა**

ყველასათვის ხელმისაწვდომელ ფასებში.

წარმოდგენილი იქნება „დათვი“ 1 მოქმ. ჩეხოვისა, გრ. ვოლსკის თარგმანი. „ოთხი იმერელი“ სცენები 1 მოქმ. დ. მესხისა.

დასასრულ ფოტოგრაფიული ცხოველი სურათები (სინემატოგრაფი)

მონაწილეობენ: კარგარეთლისა, აბაშიძე, მესხი, გუნია, შალიკაშვილი და სხ.

ადგილების ფასი თეატრში 30 კ. 1 მ—მდე. ბაღში შესასვლელი ფასი 1 აბაზი.

**საზოგადოების საყურადღებოდ.** ვინც თეატრში ბილეთს იყიდის იმას უფლება აქვს რესტორანიდან მოითხოვოს მშვენიერი ვახშამი (ორი თავი შემწვარი და ტკბილეული) ბოთლი ღვინო და ამაში გადიხდის მხოლოდ ერთ მანეთს. (3—3)

## საზაფხულო თეატრი და ბაღი თავ.-აზნაურობისა

**რესტორანი ამხ-ბა „იუქანესი“**

ყველაზე უფრო გრილი ადგილი ქალაქში არის „უზარმაზარ კაკლებს ქვეშ“. განსაკუთრებული პავილიონი, დიდი აუზები და შადრევანები.

შეიძლება დაკვეთა სადილებისა და პიკნიკებისა. 2-დან 4 საათამდე და 9-დან 2 საათამდე უკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის მესამის ლოტბარობით. სადილები ორი კერძისაგან—60 კაპ., სამი კერძისაგან—80 კაპ., 4 კერძისაგან—1 მან. ფასები ზომიერია.

ბაღში შესვლა უფასოა. (4—0—4)

## რეალური სასწავლებელი ოზურგეთში

ამ წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60.000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10.000 მანეთი პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ. ეს თანხა სასწავლებლის სავსებით მოსაწყობად არ არის საკმაო. ამისათვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანახმად, სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულებათ იმ პირთაგან, რომელთაც სურვილი განაცხადეს და აწი განაცხადებენ დაეხმარნენ გურიაში რეალურ სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად, შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Въ г. Озургеты, Городскому Старостѣ Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Димитрію Константиновичу Эристову. (10— )

## ექიმ ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—6)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** დროებით ქალაქიდან გავიდა. ავადმყოფების მიღებას ენკენისთვის პირველიდან განაახლებს. (10—4)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ს. ალადაშვილი** ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლანის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—12)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში. 1 ივლისიდაა ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—18)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს სა ღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ი. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ბულვარის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—195)

**კაბინეტი** კბილის საექიმო **ა. ა. თათევოზოვი** (ყოფილი თანაშემწე ლ. შტრეიხერისა) რაზმიშჩევის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—6)

ახლად გახსნილი **ტფილისის პირველი სამკურნალო** გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **გ. დ. ღამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე. კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—109)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი. N 9 (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 111,

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—12)

**ექიმი** კბილისა **ი. შ. ჭანტურია** იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ზალო.) (24—3.0—10)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

- **რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.
- **რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
- **თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.
- **პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
- **იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.
- **ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
- **გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.
- **იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.
- **ახპისოვი**— ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.
- **ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.
- **ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.
- **აბულაძიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—64)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკაზიე“-ს გუშინდელ ნომერში თავ. დ. ჩოლოყაშვილის წერილია დაბეჭდილი. ქართველებმა საზოგადოდ არაფერში არ ვიცით ზომა, მაგრამ ეს წერილი ჩვეულებრივზე საოცარია. მისი სათაური, მისი კილო, მისი შინაარსი,—ყველაფერი იმდენად გაზვიადებულ-გადაჭარბებულია, რომ გარეშე მეთვალყურეს სიცილით მოჰკლავს. ჩვენ ყური გვაქვს შეჩვეული უადგილო პატეტიზმზე... წერილის სათაურია: „ღია წერილი დ. ი. ყიფიანის, ი. გ. ჭავჭავაძის და ი. გ. მაჩაბლის თანამედროვეთა მიმართ“. ნამდვილად კი თავ. ჩოლოყაშვილი მარტო იმათ კი არ მიჰმართავს, მთელი საქართველო შეუძრავს. რა მოხდა ასეთი?

ანტ. ფურცელაძემ წერილით თანაგრძნობა გამოუცხადა ხეჩატუროვს და თან შეუფერებელის კომპლიმენტებით მიჰმართა; შენ დიდებული მოღვაწე ხარო. საქართველოს თითქმის მხსნელიო და სხვა. ასეთი მიმართვა ბ-ნ ხეჩატუროვისადმი სასაცილო იყო. მაგრამ თავ. დ. ჩოლოყაშვილის პაფოსი, მიუხედავად ამისა, თვითონაც სასაცილოა და სხვა არაფერი. გეგონებათ, საქართველოს უკანასკნელი დღე დასდგომია იმის გამო, რომ ანტონ ფურცელაძემ ბ-ნ ხეჩატუროვის გადიდება მოისურვა. აბა ყური დაუგდეთ, როგორ პატეტიურად ჰგოდებს თავ. ჩოლოყაშვილი:

> თქვენ, ქართველო პუბლიცისტებო ლიტერატორებო და საზოგადო მოღვაწენო, თქვენც, მცოდნენო ჩვენის ბანკის ისტორიისა მის დაარსების დღიდან, თქვენ არა ხართ გულის სიღრმემდე აღშფოთებულნი ამ სიცრუით, ამ სისულელით, ამ თავხედობით?! თქვენ, ვისაც სამშობლო გიყვართ პატეტიურს მომენტებში! რად გაჩუმებულხართ ეხლა!..
>
> თქვენგან, დიმ. ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლის თანამედროვენო, თქვენგან მოელის საქართველო დაცვასა და დაფარვას სამშობლოს დიდებულ შვილთა და გმირთა სახელისას!

დავეთანხმეთ, რომ მეტის მეტი პატეტიზმია. რა ვქნათ მაშინ და რა კილოთი ვწეროთ, როცა მართლა დიდი უბედურება გვეწვევა. თუ ბეღურებს ზარბაზნებს დაუშენთ, თუ სასაცილოდ აგდების მაგიერ მთელ საქართველოს შევძრავთ დრამატიზმით სავსე მიმართვით, მაშინ როგორღა მოვიქცეთ, როცა მართლა სერიოზულ შეურაცხყოფას მოგვაყენებენ?!..

არა, არაფერში არ ვიცით ზომა ქართველებმა. ჭეშმარიტად, ეს უფრო სამწუხაროა, ვიდრე ანტონ ფურცელაძის ქათინაურები. თვეზე მეტია აგერ ძმათა ხეჩატუროვების ამბებით იკვებება ქართველ საზოგადოების ერთი ნაწილი გაზეთ „ზაკავკ.“-ს მეთაურობით. სხვა ყველაფერი განზე მიუგდიათ და მთელ საქართველოს სძრავენ ხეჩატუროვებთან საბრძოლველად. თვით ბ-ნი ჩოლოყაშვილი მოწმობს:

> მართალია, სამწუხაროა, რომ მეშჩიკრივს ადგილი აქვს კიდევ საზოგადოებაში, მაგრამ ამ ამბებით კვება ჰკითხველებისა, როცა ერების შემოდგების წინა დღეებში ვართ, როცა მრავალი საზოგადოებრივი იარა მველას მოითხოვს,—ამისთანა დღეებში ხეჩატუროვების უმნიშვნელო პიროვნებაზე დაუსრულებელი წერა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არა საკადრისია.

არც ის არის საკადრისი, რომ დღევანდელს ჩვენს ათასთაირად სამწუხარო პირობებში მთელი საქართველო შევსძრათ ანტ. ფურცელაძის უცნაურ წერილის გამო. და ნუ თუ მართლა ჰგონია თავ. დ. ჩოლოყაშვილს, რომ ხეჩატუროვისა და ფურცელაძის ურთ-ერთისადმი პირმოთნეობა საქართველოს დაანგრევს და ყიფიანის, ჭავჭავაძის და მაჩაბლის სახელს შელახავს?!..


ქუთაისის რეალური

## სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ კლასებში მოხდება 27 და 28 აგვისტოს, ხოლო განმეორებითი ეგზამენები რეალურ სასწავლებლის მოწაფეთათვის 21-30 აგვისტოს. ჯერ-ჯერობით არა სჩანს, რომ სხვა კლასებში მიღება მოხდეს.

თხოვნებისა და საჭირო დოკუმენტების მიღება გათავდება 15 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (3—6.—1)

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

## ი-ხ-ს-ნ-ე-ბ-ა

ქალთა კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვა-და-სხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების ნასიამოვნოდ, ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—ფ.—3)

გამოცდილი

## მასწავლებელი

(რუსი) ეძებს გაკვეთილებს. ამზადებს ყველა საშუალო სასწავლებელში. სპეციალურად—ლათინური და რუსული. ადრესი დასტოვეთ „დროების“ რედაქციაში. (8—6.—3)

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—18)


## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

**ლონდონი.** რეიტერს თეირნიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, დაუნიშნოს გადაყენებულ შაჰს ყოველ წლიური პენსია, 50 ათასი მანეთი, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი დაუყოვნებლივ წავიდეს სპარსეთიდან.

**თეირანი.** რადგან შირაზიდან საშიში ხმები მოდის, ინგლისის თეირანელმა ელჩმა განკარგულება მოახდინა, რომ ბუშირიდან შირაზში ადგილობრივ ინგლისის საელჩოს გასაძლიერებლად 45 კაცი და 1 ტყვის-მტყორცნელი გაიგზავნა.

არჩევნები მეჯლისში დანიშნულია 24—26 ივლისისათვის.

**კელნი.** როგორც „კელნიშე ცეიტუნგს“ თეირანიდან ატყობინებენ, რეაქციის მეთაურებს სამხედრო სამართალში აძლევენ თურმე.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ოსმალეთის სამხედრო მზადება.**

ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ბითლისის ვილაეთის სათადარიგო ჯარის-კაცები ჯარში გაიწვიონ. ბითლისის ვილაეთი სპარსეთის საზღვარს ახლო მდებარეობს. („ბ.“).

**მოხსენება სპარსეთის საქმეებზე.**

9 ივლისს კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი პეტერგოფს წავიდა ხემწიფე-იმპერატორთან სპარსეთის საქმეებზე მოხსენების წარსადგენად. იმავე დღეს პეტერგოფს წავიდა გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი იმავ სპარსეთის საქმეებზე მოხსენების წარსადგენად.

**რუსეთის რწმუნებულის მოხსენება.**

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს დიდ-ძალი დეპეშა მოსდის თეირანიდან. რუსეთის რწმუნებული საბლინი იუწყება, რომ შაჰის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ თეირანში მშვიდობიანობა და წესიერება დამყარდაო.

**ახალი პარტია.**

თეირანში დაარსდა ახალი პარტია სახელად „ახალგაზდა სპარსელები“. პარტიამ უკვე გამოსცა პირველი პროკლამაცია, ამ დღეებში თავის პროგრამასაც გამოაცხადებს.

**სახელმწიფოს დაცვის პლანი.**

სახელმწიფო დაცვის პლანის შესამუშავებლად დაარსეს კომისია 45 კაცისაგან. კომისია უკვე შეუდგა თავის საქმეს. რუსეთისა და ინგლისის საელჩოების ბეჯითი თხოვნით, კომისიამ დატოვა ყაზახთა ბრიგადა, თუმცა ზოგიერთი წევრი მის დათხოვნას თხოულობდა.

**ემირ-მოფაკამი.**

ეროვნულმა კრებამ გამოუცხადა ცნობილ რეაქციონერს ემირ-მოფაკამს, რომ თუ ახალ წეს-წყობილების წინაამდეგ აგიტაციაზე ხელს არ აიღებთ, იცოდეთ, რომ სახრჩობელა არ აგცდებათო.

**ენჯუმენების დადგენილება**

ყველა რევოლიუციონურ ენჯუმენთა კრებამ დაადგინა, რომ შაჰად ნამყოფს მაჰმედ-ალის პენსიად დაუნიშნოს 45,000 მანეთი წელიწადში, იმ პირობით კი, რომ მაჰმედ-ალიმ ყველა ის ძვირფასი ნივთი და განძი დაუბრუნოს მთავრობას, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნისო. რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებმა მეტად მცირედ ჩასთვალეს ეს პენსია და მომატება სთხოვეს კრებას, ბოლო დადგენილება სახელმწიფო განძის დაბრუნების შესახებ მოიწონეს და დაჰპირდნენ კრებას მაგ მოთხოვნას მხარს დაუჭერთო.

**ბოიკოტი რუსეთის წინაამდეგ.**

„კასპის“ ატყობინებენ ასტრახანიდან: „აქ დიდის ამბით დღესასწაულობენ მაჰმედ-ალის ტახტიდან ჩამოგდებას და ახმედ-მირზას ტახტზე ასვლას.

რადგან რუსის ნავთს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, სახლების გასანათებლად და ქუჩების გასაჩირაღდნებლად ქონსა ხმარობენ. ყველა ჩაიხანა დაკეტილია.

**როდის წავა მაჰმედ-ალი.**

„კასპი“-ს ატყობინებენ: შაჰად ნამყოფი მაჰმედ-ალი 20 ივლისს წავა თეირანიდან რუსეთში. იგი დროებით ყირიმში დასახლდება, ქალ. თეოდოსიაში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

### საზღვარ-გარეთ.

**ალექსანდრია** (იტალია). ქალაქის განაპირა უბანში 200 კაცმა კრება გამართა. კრების დროს სახლი დაინგრა და ყველა დამსწრე ქვეშ მოიყოლა. დაღუპულების საშველად ჯარი წავიდა. ჯერ-ჯერობით გადაარჩინეს 30 კაცი. აქედან ექვსი მძიმედ არის დაშავებული, დანარჩენები—მსუბუქად.

**მადრიდი.** საბადელიდან ოფიციალურად იუწყებიან: მაროკოში ჯარის გაგზავნის პროტესტად მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. შევარდნენ რკინის გზის სადგურზე და ნება არ მისცეს, რომ ბარსელონში მატარებელი გაეგზავნათ. ამას გარდა სადგურის მახლობლად აჰყარეს რკინის გზის ლიანდაგი და გააფუჭეს ტელეგრაფის მავთულები. ჯარმა ლიანდაგი შეაკეთა. მატარებელი ბარსელონში წავიდა, მაგრამ გზიდან დაბრუნდა, რადგან ლიანდაგი გაეფუჭებინათ. ბარსელონის პროვინციაში საალყო წესები შემოიღეს.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდან იუწყებიან: ამერიკის ელჩმა ინგლისის ელჩს და კაპიტალისტებს აცნობა, რომ თუ ინგლისელები შემდეგშიაც შეეცდებიან ჩინეთის ხანკოუ-სიჩანის რკინის გზის შესახებ შეთანხმების შეცვლას, შეერთებულ შტატების მთავრობას უფლება ექნება იფიქროს, რომ ეს ინგლისის მთავრობის თანხმობით ხდებაო.

**მადრიდი.** მელილიდან ოფიციალურად იუწყებიან: რკინის გზის სადგურზე თავს დაესხნენ მატარებელს, რომელსაც ჯარისთვის სურსათი მიჰქონდათ. 10 ივლისის ბრძოლაში ესპანიელებისთვის, ოფიციალურის ცნობით, მოუკლავთ და დაუჭრიათ 300 კაცი.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს დეპუტატმა მაკენამ სთქვა: მთავრობას იმედი აქვს, რომ ოთხ დრედნოუტს (დიდი სამხედრო გემები) ამ წელს ჩაუშვებს წყალში. სასურველია, რომ დანარჩენი ოთხი დრედნოუტიც 1912 წლის მარტისთვის იყოს მზად. ინგლისის მთავრობამ მარტო სიტყვით არ განახორციელა შეიარაღების შემცირება, ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ინგლისმა 8 ჯავშნიანი გემი ააგო. გერმანიამ კი ამავე დროს—11 ჯავშნიანი გემიო. კონსერვატორმა ლიმ გაჰკიცხა მთავრობა, უმოქმედოაო, და მოითხოვა, რომ ეხლავე შეუდგეს დრედნოუტის აგებას. ლიბერალმა ელისმა წინადადება შეიტანა, შევამციროთ საზღვაო ბიუჯეტი, რადგან შესაძლებელია, სხვა სახელმწიფოებთან შევთანხმდეთ და მათაც შეამცირონ შეიარაღებაო. მინისტრ-პრეზიდენტმა ასკვიტმა, სხვათა შორის, სთქვა: მთავრობა სცდილობს შეთანხმდეს სხვა სახელმწიფოებთან და სამხედრო ბიუჯეტი შეამციროს, მაგრამ მთავრობა მოვალეა დაიცვას ინგლისი. ელისის წინადადება პალატამ უარჰყო. ამ წინადადებას მიემხრნენ ნაციონალისტები, მუშათა პარტიის დეპუტატები და რამდენიმე რადიკალი.

**ეკერნფერდე.** დილის 5 საათზე გამოჩნდა რუსის ესკადრა, რომლითაც რუსის ხელმწიფე და დედოფალი მოვიდნენ. წინ მოდიოდა კრეისერი „ადმირალი მაკაროვი", რომელსაც მოსდევდა იახტა „შტანდარტი". როდესაც „შტანდარტი" ნავსადგურში შევიდა, კრეისერმა „უნდინა"-მ რამდენჯერმე ზარბაზანი დასცალა. დილის 10 საათზე „შტანდარტს" მიუახლოვდა იახტა „შნეევიტხენი", რომელზედაც იყვნენ პრინცის ჰენრიხის მეუღლე ირენა შვილებითურთ და დიდი ჰერცოგი გერსენისა. ამათ „შტანდარტზე" ერთ საათამდე დაჰყვეს.

რუსის ხელმწიფესა და დედოფალს ბინა ექნებათ გემმელმარკის სასახლეში.

**რომი.** როგორც ბენესხირის გუბერნატორი დეპეშით იუწყება, მოხალიმ იზმაილის ტომს განუზრახავს უარშეიკის გადაწვაო. იტალიის პრეზიდენტმა დააპატიმრა ტომის ბელადი, შეიხი ჰუსეინი. ამის გამო ტომის მეომართა და იტალიის ჯარის კაცთა შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. მეამბოხეებს მოუკლეს 45 კაცი, დაუჭრეს 20 კაცი და სამი კაციც ტყვედ წაიყვანეს. იტალიელების მხრივ 5 კაცია დაჭრილი.

**სერბერი** (საფრანგეთი). ესპანიის ჯარიდან გამოქცეულნი საზღვარს გადმოდიან და აქ მოდიან. ბარსელონიდან იუწყებიან, რომ თანამდებობიდან გადადგა სამოქალაქო გუბერნატორი, რომელიც წინააღმდეგი იყო საალყო წესების შემოღებისა. ქალაქის სხვა და სხვა ადგილას შეტაკებები მოხდა. რამდენიმე კაცი დაიჭრა. ტრამვაის ორი ვაგონი ლიანდაგიდან გადააგდეს. რკინის გზის რელსები მოხსნეს და წაიღეს. აქაური გარნიზონი მაშველ ჯარს მოელის.

**პარიზი.** ჰავასს 11 ივლისის თარიღით დეპეშით ატყობინებენ ბარსელონიდან: საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო აქ მრავალი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. მოკლულ იქმნა ჟანდარმის როტმისტრი, სამი ჟანდარმი და 8 მანიფესტანტი. დაიჭრა 20 კაცამდე.

**საიგანი.** 12 ივლისს ღამე მოხდა შეტაკება საფრანგეთის საკოლონიო ჯარისა და ადგილობრივ მცხოვრებთა შეომრებისა. მოკლულ იქმნა კაპიტანი და 10 სალდათი, დაიჭრა 20 კაცი. ადგილობრივ მცხოვრებთ მოუკლეს 40 კაცი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ახალმა სამინისტრომ თავისი პროგრამა განმარტა. სამინისტროს დეკლარაციაში ნათქვამია: სამინისტრო ეცდება დაიცვას მშვიდობიანობა, განახორციელოს სხვა და სხვა რეფორმა და საფრანგეთი პროგრესის გზაზე დააყენოს. სამინისტროს განზრახვაა საფრანგეთის პატივი მოუპოვოს, იგი წინანდელ სამინისტროს პოლიტიკას აწარმოებს. წინანდელ მთავრობის პოლიტიკამ განამტკიცა საფრანგეთის პრესტიჟი. ამას ის მოჰყვა, რომ საფრანგეთი იცავდა საერთა-შორისო მშვიდობიანობას და კიდეც აღწევდა მიზანს. მთავრობა მოითხოვს ბიუჯეტის დამტკიცებას, შეეცდება ამავე სესიაში განახორციელოს კანონ-პროექტი მოხუცთა უზრუნველ ყოფის შესახებ; შემდეგ აზრადა აქვს შეიმუშავოს მთელი სისტემა მუშათა დაზღვევისა და დაზღვევა გაავრცელოს სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების მუშებზედაც; საარჩევნო რეფორმის შესახებ მთავრობა პალატას სთხოვს, ნება დართოს მუნიციპალიტეტებში თან და თან განახორციელოს პროპორციონალური არჩევნები. მთავრობა მოითხოვს მოხელეთა სამსახურში მიღების შესახებ წესდების დამტკიცებას, ხელს შეუწყობს ახალ გზების გაყვანას, წინადადებას მისცემს პალატას განიხილოს სადამოჟნო ტარიფი და სხვ.

**სტოკჰოლმი.** სამკერვალო, საამშენებლო და ბამბეულობის ქარხნების მრეწველებსა და მუშებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მთავრობა და სამედიატორო სასამართლოები ბევრს ეცადნენ მოესპოთ ეს უთანხმოება მაგრამ ვერას გახდნენ. რაკი შეთანხმება ვერ მოხდა, მრეწველებმა გადასწყვიტეს, გაავრცელონ ლოკაუტი. ამ-ჟერობით ლოკაუტი შეეხო 13000 მუშას. ეხლა რამდენი ათი-ათასი სხვა მუშაც ამათ ბედში ჩავარდება.

## რ უ ს ე თ ი

**რეველი.** მღებავებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს.

**ვარშავა.** ჩესტოხოვის გამოფენა გაიხსნება 23 ივლისს. კომიტეტმა შეიმუშავა პროგრამა იმისა, თუ როგორ უნდა დახვდნენ ჩეხ სტუმრებს 31 ივლისს, 1 და 2 აგვისტოს.

**ოდესა.** კოსვენის ქუჩაზე ერთ სახლის ფარდულში აღმოაჩინეს დიდი პატრუქიანი ყუმბარა. ამის გამო დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

## ხ ო ლ ე რ ა

**ვლადიმერი.** მალენკოვის მაზრაში ორი კაცი გახდა ავად ხოლერით.

**რიგა.** ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი.

**რეველი.** საპატიმროს მოსამსახურის ოჯახში ავად გახდა ერთი ბავშვი.

**იაროსლავლი.** ოფიციალურის მოხსენებით რიბინსკში ხოლერა გაჩნდა. გამოკვლევამ 5 ხოლერიანი ავადმყოფი აღმოაჩინა, ამათგან 2 გარდაიცვალა. იაროსლავლში ერთი კაცი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 59 კაცი, გარდაიცვალა 13, საავადმყოფოში არის 733 კაცი.

**არხანგელსკი.** ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3 კაცი.

## თათბირი ერობის შესახებ

14 ივლისის, ტფილ. გუბერნიის ბ-ნ ლოზინო-ლოზინსკის თავმჯდომარეობით, ტფ. სათავად-აზნაურო თეატრში მოხდა ქალაქის, თავად-აზნაურობის, სამეურნეო საზოგადოების, საექიმო და იურიდიულ საზოგადოების წარმომადგენელთა თათბირი ეროების შესახებ. დაესწრო 50 კაცამდე.

საღამოს 8 ნახევ. საათზე გუბერნატორმა კრება გახსნა და შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრეთ: როგორც მოგეხსენებათ, კავკასიის ნამესტნიკმა ცირკულიარით დაგვავალა შევიმუშაოთ მასალა კავკასიაში ერობის შემოსაღებად. მე მოვიწვიე საზოგადოებათა წარმომადგენელნი იმ აზრით, რომ მათ თავიანთ ცოდნითა და გამოცდილებით დახმარება გაუწიონ საქმეს. საგუბერნიო კრება ოფიციალურად სექტემბერში მოხდება, ხოლო ამჟამად კერძო თათბირი იქნება. საჭიროა ეხლავე სექციებად დავიყოთ, გავინაწილოთ სამუშაო და სექტემბერში საგუბერნიო კრებას წარუდგინოთ მასალა ერობის შესახებ, საგუბერნიო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რა ტიპის ერობა უნდა იქნეს შემოღებული ჩვენში. სექტემბერში, დღეს შეკრებილ პირთა გარდა, მიწვეულნი იქმნებიან წარმომადგენელნი აგრეთვე ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხიდან, სოფლის საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან. აი, ეს საზოგადოო საგუბერნიო კრება მოუყრის თავს სექციების მიერ შემუშავებულ მასალას და შეადგენს მოხსენებას საერობო ტიპის შესახებაო.

შემდეგ წაიკითხეს ცირკულიარი ნამესტნიკისა, რომელიც ჩვენ მკითხველებს უკვე გავაცანით.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თავის მოადგილემ ა. ი. ხატისოვმა. მან განაცხადა: ბ-ნ როდზევიჩს მოხსენება აქვს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს მასალა ერობის შესახებ. მისის გეგმით უმჯობესი იქნება მასალის შეკრება. ჩემის აზრით, დღევანდელ თათბირზე უნდა გამოირკვეს, რა ტეხნიკური ძალა გვაქვს მასალის შესაკრებად. ინტელიგენციას შეუძლიან მოპოებულ მასალის აწონ-დაწონვა, მაგრამ მასალის შესაკრებად ძნელად თუ ვინმე გამოდგება, რადგან ყველა თავის საქმეშია გართული და ვერ მოიცლისო.

ჰ. გოთუამ საჭიროდ არა სცნო როდზევიჩის გეგმით მასალის შეკრება. თათბირზე უნდა შემუშავდეს ის, თუ რა მხრით უნდა შევისწავლოთ მასალა და შემდეგ დავინახავთ, რა მასალაა საჭირო საქმისათვისაო.

გუბერნატორის წინადადებით, როდზევიჩმა წაიკითხა თავისი გეგმა. ბ-ნ როდზევიჩის აზრით, ხუთი მცირე სექცია უნდა იქნეს არჩეული. პირველმა სექციამ უნდა შეიმუშაოს მოხსენება ერობის ტიპის შესახებ, მეორემ—ფინანსიური მხარე საკითხისა, მესამემ—ცენზის შესახებ, მეოთხემ—ქალაქებისა და ერობათა ურთი-ერთობის შესახებ და 5 სექციამ—საზოგადო სტატისტიკური ცნობები უნდა შეჰკრიბოს. ამ რიგად მასალების შეკრებას და მოხსენებათა შესამუშავებლად საჭირო იქნება 2,000 მანეთამდე.

სტ. თ. ჰრელაშვილიც წინააღმდეგი იყო როდზევიჩის გეგმით საკითხის შემუშავებისა. ჩვენ რომ ასეთ მეთოდს დავადგეთ, სულ დავმარხავთ ერობას, რადგან ას წელს ვერ გავათავებთ გამოკვლევას და შესწავლას ჩვენის ქვეყნისას ისე, როგორც ბ-ნი ბელევიჩი გვირჩევს. ქალაქის თვითმმართველობები რომ დაარსდა, არავის აზრად არ მოსვლია, იმის გამოკვლევა, თუ ქალაქის სამმართველო რა წყაროებიდან იშოვიდა ფულს. შესდეგა ქალაქის საბჭო, გამგეობა და ცხოვრებამ ნათლად დაანახვათ, რა უნდა გაეკეთებინათ და რა ნაირად უნდა დაეყენებინათ თვით-მმართველობის ხაქმე. თუ კი გადასწყდება, რომ ერობა შემოღებულ იქმნას, უნდა გადასწყდეს საკითხი ეროვნის ტერიტორიის შესახებ. მერე გამოჩნდებიან კაცები, რომელნიც შესძლებენ როგორც საფინანსო, ისე სხვა საკითხების გამორკვევას და საქმის სასურველად დაყენებას.

ა. ქალანთარი, ა. ფირალოვი როდზევიჩის გეგმას მიემხრნენ. მ. მაჩაბელი, პირიქით წინააღმდეგი იყო როდზევიჩის გეგმისა, ჩვენ თუ მასალის შესწავლას შევუდგებით, იმ სისტემას უნდა დავადგეთ, რომელიც კავკასიის ნამესტნიკსა აქვს მოხსენებული თავის ცირკულიარში. მასალის მოპოებისა და შემუშავების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ რაიონის შესწავლას, უნდა შემუშავდეს ტიპი ერობისა ადგილობრივ მდგომარეობის მიხედვით.

კამათი გაიმართა იმაზედაც, თუ რამდენი სექცია იქმნეს არჩეული. თავ. ი. აბხაზი 11 სექციის შედგენას სცნობდა საჭიროდ, ხოლო უმრავლესობა კი სამ სექციას ამჯობინებდა. კრებამ, დასასრულ, დაადგინა, ცირკულიარის მიერ შესამუშავებლად დასახული საკითხები გაიყოს სამ ნაწილად და ამის მიხედვით მოხსენების შემუშავება დაევალოს სამ სექციას. დასახელებულ იქმნა მთავარ ბიუროს წევრად 28 კაცი. ეს ბიურო განაწილდება სამ სექციად.

## კიდევ პროვოკატორი

### ა ზ ე ფ ი.

ბურცევს აზეფის შესახებ მეორე წერილი დაუბეჭდია გაზეთ „მატენ"-ში ბურცევი ამტკიცებს, რომ აზეფმა დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელობაშიაც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ისეთი არა, როგორც პლევეს მკვლელობაში. ბურცევი სწერს: აზეფი სოციალისტ-რევოლიუციონერების სამხედრო ორგანიზაციის მეთაური იყო, და როგორც ასეთმა, ნება დართო ეს ტერორისტული აქტი ჩაედინათ. მანვე მონაწილეობა მიიღო მკვლელობის გეგმის შედგენაში და მავე დანიშნა მკვლელები და მათ შორის კალიაევი. აზეფმა იცოდა თუ ვისი გვარით სცხოვრობდა მოსკოვში დიდი მთავრის მკვლელი კალიაევი, მაგრამ მიუხედავად ამისა დამცველმა პოლიციამ ძლივს-ძლივობით გაიგო მკვლელის გვარი და ეს მაშინ, როდესაც აზეფი დამცველ პოლიციის აგენტი იყო! ამას გარდა აზეფმა მონაწილეობა მიიღო ადმირალ დუბასოვის მოკვლის განზრახვაში. ყუმბარის გადაგდების რამ-

# შეთანხმების იმედი

## 1903 წლიდან 1909 წლამდე.

5*).

1907 წლის განმავლობაში ისევ ძველ ჰანგებს დამღერიან სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტები. ჯერ ხნობით არა სჩანს არავითარი სურვილი საგანში უფრო ღრმად ჩახედვისა. და დაძველებული არგუმენტები ავტონომიის წინააღმდეგ ისე გაცვდნენ, რომ სწორედ სიბრალულს აღვიძებდნენ ადამიანის გულში იმ საზოგადო მოღვაწეებისადმი, რომელნიც არავითარ ორიგინალობის უნარს არ იჩენდნენ და ისევ ძველ სიმებს აჟღარუნებდნენ.

ამ მოსაწყენ და დახავსებულ მელოდიათა სიაში უნდა იქმნეს აღნიშნული ბ-ნ ირაკლი წერეთლის წიგნაკი „ისტორიული წერილები", სადაც, სხვათა შორის, შემდეგ ხასიათის აზრებს შეხვდებით: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? —გვეკითხება ბ-ნი წერეთელი:—არის ეს მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისთვის (და მაშასადამე, ქართველებისთვისაც) სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლებისა? არა... ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ არის და სულ სხვა მიზნისთვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის"—აი მოკლეთ მათი ეროვნული მოთხოვნილების შინაარსი... მათ სურთ ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისთვის საქართველოს საზღვრებშიო"[1]).

ყველა ამის წინააღმდეგ ამ ჟამად არას ვიტყვით. ჩვენგან ნაამბობი ფაქტები მკითხველს უტყუარ იარაღს მისცემს იმის გასაგებად, რამდენად სამართლიან საზომით ზომავდნენ საზოგადოებრივ მოვლენათ სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი, ისეთნი, რომელნიც დღესაც დევნილნი და გაწამებულნი არიან. უნდა ვსთქვა, რომ პირადად ჩემთვის, ყოველთვის დარჩება გამოუცნობელ ფსიხოლოგიურ საიდუმლოებად ის გარემოება, თუ რატომ და როგორ უნდა იცრუოს იმისთანა კაცმა, რომელიც სიცოცხლეს არა ჰზოგავს ბოროტებასთან ბრძოლაში და რომელსაც ამიტომ გულწრფელობა არ უნდა ჰქონდეს დახშული. აშკარაა, პარტიულ ვნებას უნდა ეჭიროს ამ საგნის გამორკვევაში ფრიად დიდი ადგილი. ეს აზრი უფრო თვალსაჩინო გახდება ჩვენთვის, მეორე მებრძოლის ნაწერებს რომ დავაკვირდეთ. მისი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმის" შესახებ სხვა წერილებში ბევრი რამ გვქონდა ნათქვამი. აქ უნდა სხვა მხრიდან აღვნიშნოთ ხსენებული წერილები. ამ წერილების გამოქვეყნებიდან (1908 წელს) იწყება განხეთქილება და რყევა სოციალ-დემოკრატიულ ბანაკში ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტაში. ამ რყევისა და განხეთქილების ისტორიაში ჩვენ ქვემოდ დაწვრილებით გავსინჯავთ, ეხლა კი ბ-ნ ანის „საოლქო თვითმართველობის" გეგმას დავაკვირდეთ. ანის წერილი „პარტიული ბრძოლა ჩვენში" ეხება ნაციონალურ საკითხს და თუმცა ავტორი სცდილობს აქ (ვითომ და ფაქტების და ციფრების მოხმარებით) უარ-ჰყოს ავტონომია და წინ წამოაყენოს ოლქობრივი თვითმართველობა, „მაგრამ მისი თვითმართველობა" საეჭვო ხასიათისაა და მკითხველს გულში ეჭვს უბადავს იმის შესახებ, რომ ავტორს მტკიცედ არა აქვს განსაზღვრული ავტონომიის და თვით მართველობის მცნებანი.

ბ-ნი ანი ირაკლი წერეთლისავით იმ აზრისაა, რომ „საქართველოს ნაციონალურ ავტონომია, რა გინდ დემოკრატიული იყოს იგი, წარმოადგენს ქართულ ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერ კავკასიის ერთა შორის ნაციონალურ ბრძოლის დაკანონებას".[2]) ფედერალისტების მისწრაფებაა „ქართველობის გაბატონებულ კლასების მმართველ კლასათ გამოცხადება, ხოლო ამ კლასების პრინციპი კი სხვა ნაციის წინააღმდეგ ილაშქრება, სხვა მასზე უფრო სუსტი ნაციის დევნაა".[3]) „ფედერალისტებს სახეში აქვთ მარტო ქართველი ერი და მით ემსგავსებიან ყველა ერის როგორც დამორჩილებულის ისე გაბატონებულის ნაციონალისტებსო" (იქვე).

ვინც ჩვენ მიერ წინად ნათქვამს თვალ-ყურს ადევნებდა, იმისთვის ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ირაკლი წერეთელიც და ბ-ნი ანიც სიმართლეს ღალატობენ და ფაქტებს ამახინჯებენ. რომ „ფედერალისტებს" მარტო საქართველო არა აქვთ მხედველობაში, ამისი მაჩვენებელი, სხვა რომ არა იყოს, თვით ამ პარტიის სახელწოდებაა. ფედერალიზმი —ერთა კავშირია და ვინც ამ პრინციპს აღიარებს, იმისთვის სავალდებულოა სახეში მიიღოს ყველა იმ ერთა ინტერესები, რომელნიც შედიან ფედერაციაში. იმ პროგრამაში, რომელიც დამტკიცდა პარტიულ კრების მიერ ღენობისთვეში 1907 წელს, სხვათა შორის ამგვარი მუხლებია: 12... სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებისა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. 14... ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობა ფედერაციის შემდგენელ ნაწილებს უფლება აქვთ შეადგინონ დროებით ან სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძღოლად".[4]) მაშასადამე, ფედერალისტებს არა თუ თავიანთი მეზობლები, არამედ მთელი რუსეთის წყობილებაც აქვთ სახეში, როდესაც ისინი სჯიან პოლიტიკურ ცხოვრების განახლებაზე. ყოველივე ეს ბ-ნმა ანმა კარგად იცის, რადგან 1907 წლის წინადაც ბევრი ლაპარაკი იყო ამ საგნის შესახებ, მიუხედავად ამისა მაინც არ თაკილობს და არა საკადრისს საბუთებს ხმარობს თავის პოლიტიკურ რწმენის გასამარჯვებლად. მაგრამ ჩვენ უკვე ისიც ვიცით, რომ სხვა ერების დაჯაბნა არც ნაციონალ-დემოკრატების მიზანია. მათ პროგრამაშიაც, რომელიც უკვე გავაცანი მკითხველს, ვკითხულობთ, რომ „ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელ იქმნეს ეროვნული უფლება უმცირესობისათვის". ამაზედაც მოიყრუა ყური ჩვენმა მოწინააღმდეგემ. მაგრამ შეიძლება სთქვან: რაც გინდ მუხლი ჩასწეროთ თქვენს პროგრამაში, საქართველოში ქართველები მხოლოდ მცირე უმრავლესობას წარმოადგენენ და თუ მათ ხელში გადავიდა მართვა-გამგეობა უმცირესობის ინტერესი კანონის მიუხედავად შეილახებაო. ეს საგანიც მხედველობაში მიღებული იყო ს.-ფედერალისტების მიერ და ამაზედაც იმ გვარ პასუხს იძლეოდნენ ისინი, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეუწყნარებელია ბ-ნ ანის მიერ ამ საგნის გარჩევის დროს. იმ ხანებში გაზეთ „ამირანში" დაბეჭდილი იყო ერთი საყურადღებო მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქმნა ს-ფედერალისტთა წარმომადგენლის მიერ რუსეთის ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიათა კონფერენციაზე. მოხსენების სათაური შემდეგია: აგრარული საკითხი საქართველოში და მისი კავშირი ნაციონალურ და ოლქებრივ ავტონომიის საკითხთან. აი ამ მოხსენების ზოგიერთი საყურადღებო ადგილები:

„დედამიწის ზურგზე ისეთი მხარე არ არის, რომელიც მილიონად ერთ-გვარ ხალხით იყოს დასახლებული... 2.109.673 სულიდან (ორივე სქესისა), რომელიც საქართველოს მიწა-წყალზე სცხოვრობს, თვით ქართველობა 1.400.048 სულია, რაც 66,4% ან მთელის მოსახლეობას ორ მესამედზე ცოტა მეტს შეადგენს... მოსახლეობის ხასიათის ჭეშმარიტ მაჩვენებლად, ეჭვს გარეშე, ქალაქები კი არ უნდა ჩაითვალნენ, რადგან მათ საერთაშორისო ელფერი აქვთ, არამედ მაზრები და სოფლები. თუ საკითხს ამ თვალ-საზრით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ზემოდ-ჩამოთვლილ ადგილებში სოფლელი 1.786.961 სულია ორივე სქესისა. ამ საერთო რიცხვიდან ქართველები შეადგენენ 1.280.771 სულს ანუ 72%-ს. მაშასადამე, სხვა ეროვნებანი, ყველანი ერთად აღებულნი, ვერ შეადგენენ ერთ-მესამედსაც ანუ 28%-ს. აწინდელ ადმინისტრატიულ დანაწილებით საქართველო 20 მაზრად და ოლქად არის დაყოფილი. ამ რიცხვიდან 16 მაზრის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. ამ მაზრებში 1.416.442 სულია ორივე სქესისა. აქედან—1.228.091 სული ანუ 81% ქართველობაა. დანარჩენ ოთხ მაზრიდან ერთი მაზრა, სახელდობრ ბორჩალოსი, არეულ ხალხოსნობითაა დასახლებული, ამასთან სხვებს სჭარბობენ სომხები, თუმცა ისინიც ნახევარზე მაინც ნაკლებნი არიან, სახელდობრ 34,0%. ახალქალაქის მაზრაში სჭარბობენ სომხები 72%, ზაქათალის ოლქში ლეკები 49%. რაც შეეხება სოხუმის ოლქს, იქ უმრავლესობას აფხაზები შეადგენენ 58,5%-ს... (ამ პირობების მიხედვით მოხსენება სამ შესაძლო კომბინაციას აღიარებს ტერიტორიის გამიჯვნის საკითხში: 1. თუ საქართველოს მომავალ ავტონომიაში ზემოდ დასახელებული 20 მაზრა და ოლქი შევა, მაშინ ცხადია, არეულ ეროვნებით დასახლებულ მაზრათა (სახელდობრ ბორჩალოსი, ახალქალაქისა, ზაქათალისა და სოხუმისა, რომლებშიაც უმეტესობას სომხები, თათრები, ლეკები და აფხაზები შეადგენენ) ინტერესები მოითხოვენ, რომ იქაურ ხალხებს მიეცეთ საქართველოს ავტონომიისადმი ისეთივე ავტონომიური თავისუფლება შინაურ საქმეების გადაწყვეტისა, როგორიც ექნება საქართველოს ავტონომიას რუსეთის სახელმწიფოსადმი. თუ საკითხს ამრიგად დავაყენებთ, მაშინ შეიძლება აქ ჩამოთვლილმა ერებმა დარჩენა ისურვონ და ერთი საერთო ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეული შეადგინონ. 2. თუ ზემოდ დასახელებულ სამი მაზრის სახალხო პლებისციტი საქართველოს ავტონო-

*) იხ. „დროება" N 155.

1) „ისტორიული წერილები", გვ. 19, 20. 1907 წ.

2) „ცხოვრების სარკე", № 10, 1908.

3) ibid. N 9.

4) ს ს.—ფ. ს პ—ის პროგრამა და წესდება, გვ. 7.

დენიმე წუთის წინ აზეფი ადგილობრივ იყო. ყველა მონაწილეები დაითვალიერა და გაამხნევა. აზეფი აქაც არ გაჩერდა და შეიმუშავა ერთი ფრიად დიდი პირის მკვლელობის გეგმა. აზეფის საქმის გარჩევის დროს (სამედიატორო სასამართლო) სამხედრო ორგანიზაციის წევრები ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდნენ ამაზე. მე შემატყობინეს იმ პირთა სია, რომლებიც შეთქმულობაში იღებდნენ მონაწილეობას და ის ფაქტები, რომლებმაც მათ ხელი შეუშალეს თავიანთი განზრახვა განეხორციელებინათ. შემდეგ ორი შეთქმულთაგანი ვნახე და ვამტკიცებ, რომ თუ ეს დიდი პირი არ მოჰკლეს, აზეფი აქ არაფერ შუაშია, რადგან იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ თავის განზრახვა განეხორციელებინა. ის პირი რომელსაც აზეფის გეგმა უნდა შეესრულებინა, დანიშნულ დროს თავის მსხვერპლიდან ორ ნაბიჯზე იდგა. პირდაპირ ყველა ეს ცნობები სასამართლოსთვის ლოპუხინის საქმის გარჩევის დროს უნდა გადამეცა, მაგრამ აღარ მიმიწვიეს და აზეფის თანამოაზრეებს: რატაევს, გერასიმოვს, ზუბატოვს, რაჩკოვსკის და ორეტს დაუჯერეს. თუ საჭირო იქნება შემიძლიან პეტერბურგში ჩავიდე და სასამართლოს ყველა საბუთები წარუდგინო, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ წინ და წინვე გარანტია უნდა მომცენ, რომ ჩემ პიროვნებას არ შეეხებიან. ყველა ის პირები, რომლებიც აზეფთან ერთად ტერორისტულ აქტებს ახდენდნენ, დაიღუპნენ, აზეფმავე გასცა და სახრჩობელაზე აიყვანა, მხოლოდ გადარჩნენ პლევეს მკვლელი საზანოვი და სიკორსკი. ესენი ეხლა კატორგაში არიან, სულ ადვილია მათი ჩამოყვანა და ჩვენების ჩამორთმევა. თუ ვისმე სიმართლის გაგება უნდა, აზეფი სამართალში უნდა მისცენ და მაშინ გამოირკვევა ყველაფერი. („გ. მოსკ.)

**გარტინგის ბიოგრაფია.**

აბრამ-არონ მორდუხის ძე გეკელმანი დაიბადა ქალაქ პინსკში, 1860 წელს. (ამავე ქალაქში დაიბადა გამხეი გამზეიჩი, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი, გერცენშტეინის მკვლელი). მამა მისი შეძლებული ვაჭარი იყო, ვაჭრობდა პეტერბურგში, გარდაიცვალა 1885 წელს. პირველ დაწყებითი სწავლა მოძავალმა გარტინგ-ლანდეზენ-პეტროვსკიმ... ებრაელთა ხედერში (პირველ დაწყებითი სკოლის მინაგვარი) მიიღო. გეკელმანი ბევრი ვეროაფერი ნიჭიერი ყმაწვილი გამოდგა და მას მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევდა. გეკელმანი გულდახურული ყმაწვილი იყო, ცოტას ლაპარაკობდა და ამხანაგები არ ეკარებოდა. როდესაც გეკელმანი 15 წლისა შესრულდა, მამამ იგი პეტერბურგში გაგზავნა და გიმნაზიაში მისცა. აქედან იწყება გეკელმანის „პოლიტიკური" კარიერა. პინსკში ჩამოსვლისას იგი ხელ-ცარიელი არ მოდის. მას ყოველთვის სხვა-და-სხვა აღკრძალული წიგნები მოაქვს და ახალგაზრდებს ურიგებს. ყველგან რევოლიუციონერის სახელი აქვს. სამოცდა-ათიან წლებში გეკელმანის მამა გაღარიბდა, მაგრამ გეკელმანი ისევ მდიდრულად სცხოვრობს, როგორც წინად. სალდათობიდან განთავისუფლების შემდეგ გეკელმანი იურიევში წავიდა, სადაც საექიმო ფაკულტეტზე თავისუფალ-მსმენელად შევიდა. სტუდენტობის დროს გეკელმანი პინსკში სულ ორჯერ იყო და 1882 წლიდან იგი აღარ ჩამოსულა სამშობლოში. 1882 წელში დააპატიმრეს გეკელმანი, მისი მშობლები პეტერბურგში წავიდნენ. აქედან მალე დაბრუნდნენ და თავიანთ დაპატიმრებულ შვილის შესახებ მეზობლის შეკითხვაზე არაფერს არ ამბობდნენ. პინსკში ლაპარაკობენ, რომ გეკელმანი რამდენჯერმე ჩუმად ჩამოვიდა დედ-მამასთან და უკანასკნელ დრომდის მშობლებს წერილებს სწერდაო. ოთხმოციან წლების მიწურულში გეკელმანის მძრბლებმა ხმა გაავრცელეს, რომ ჩვენი შვილი გარდაიცვალაო. ამასთან მშობლებმა, ებრაელის ჩვეულების მიხედვით, გადაიხადეს „შივე". („შივე"-ს დროს ებრაელები შვიდის დღის განმავლობაში სახლიდან არ გამოდიან და დაბალ სკამებზე სხედან). როდე-1891 წელს პარიზში გეკელმანი ლანდეზენს ასამართლებდნენ, მისი პინსკელი ამხანაგები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს მათი „პატივცემული" და „გარდაცვლილი" ამხანაგი იყო. მშობლები კი სდუმდნენ. პინსკში ლაპარაკობენ, რომ გარტინგის მშობლებმა იცოდნენ სად იყო მათი შვილი, მაგრამ განგებ გაავრცელეს ხმა, ვითომ მათი შვილი გარდაცვლილიყოს და ისიც ციმბირში, სადაც იგი ვითომდა გადაასახლეს. „გენერალ გარტინგის" მშობლები ძალიან შეწუხებულნი არიან ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ამბებით და არავის არაფერს არ ეუბნებიან, ასე გასინჯეთ ქუჩაშიაც კი არ გამოდიან. (რუსკ. სლოვო).

**გარტინგი და შრიროს საქმე.**

როგორც ვიცით, გარტინგის და მისი „თანამშრომლების" საქმე ბაქოელ ნავთის-მრეწველის შრიროს სახლზე თავდასხმა, აქ უმთავრესად მოქმედებდნენ გერციგი და „ბარონი შტრენბერგი", ორივე პროვოკატორი. ერთ დღეს შრიროსთან მისულა სამი ანარქისტი და 5,000 ფრანკი მოუთხოვნიათ. შრიროს ფული არა ჰქონია მიუცია ბედ 65 ფრანკი და დანარჩენ ფულის მიცემას მეორე დღეს დაჰპირებია. მეორე დღეს ფულის წასაღებად შრიროსთან მისულა ვინმე ანნა შვარცი. შრირო ამის შემდეგ ქალაქ ლოზანიდან წასულა და ყველაფერი ეს სახლის პატრონ პროფესორ გერცენისათვის გადაუცია (ეს გერცენი ცნობილი გერცენის შვილია). გერცენს პოლიციისათვის შეუტყობინებია და პოლიციას დაუპატიმრებია ანნა შვარცი. შვარცის სახლში პოლიციას უპოვნია „ბარონ შტერნბერგის" წერილები. წერილებში დაწვრილებით ყოფილა აღწერილი თუ როგორ უნდა დაეცნენ შრიროს სახლს. ერთ წერილში სწერებულა, რომ „ამხანაგ ფოგტს" რაღაც გაუბედაობა ეტყობა, გამოცდაა საჭირო და შრიროსთან გაიდევნეთ თანაო. ფოგტი დააპატიმრეს. ამის შემდეგ პოლიციამ დაუწყო თვალის დევნება ანნა შვარცის სახლს და იქ დააპატიმრა: გოლდშტეინი, დავრიჩევი და დიაჩკო. ფოგტის გარდა ყველანი ერთმანეთს აბრალებდნენ ამ საქმეს. ამათ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ მათ ხელმძღვანელობდნენ „ბარონი შტრენბერგი" და გერციგი. სასამართლოში გარჩევის დროს გერციგის და „ბარონ შტრენბერგის" გარდა რუსეთის საზღვარ-გარეთის პოლიცია აღმოჩნდა ამ საქმის გამკეთებლად. სასამართლოში გამოირკვა, რომ ფოგტი და ყოფილი სალდათი დიაჩკო პროვოკაციის მსხვერპლი გამხდარან. დიაჩკო შრიროსთან მსახურებდა. იგი საზღვარგარედ ყალბ პასპორტით სცხოვრობდა. საინტერესო ის არის, რომ, თავმჯდომარის შეკითხვაზე—ყალბი პასპორტით რადა სცხოვრობთო, დიაჩკომ განაცხადა, რუსეთში ყველა პატიოსანი კაცი ყალბი პასპორტით სცხოვრობსო. სასამართლომ ყველანი გაამართლა, გარდა ფოგტისა, რომელსაც სატუსაღო მიუსაჯეს. დანარჩენი ბრალდებულები შვეიცარიიდან განდევნეს. ასე გათავდა გარტინგის და მისი „თანამშრომლების" პროვოკაცია. (რუს. სლ.).

**როდის დაიწყო მუშაობა გარტინგმა.**

„რუს. სლ."-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: ბურცევმა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ გარტინგს ოფიციალურად მუშაობა 1883 წლიდან დაუწყია.

**დ უ რ ნ ო ვ ო.**

როგორც მკითხველს მოეხსენება ბურცევმა თავის ერთ წერილში განაცხადა, პროვოკაციას მარტო პატარა პირები არ ჩადიოდნენ და თუ საქმე მოითხოვს ერთ დიდი პირის შესახებ მასალები მაქვსო. ბურცევის სიტყვით ეს პირი სახელმწიფო საბჭოს წევრია. „გოლოს მოსკვი" იუწყება: ეს პირი შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი დურნოვო არის, ბურცევის სიტყვით გარტინგ-აზეფის პროვოკაციაში მასაც დიდი როლი უთამაშნია.

**სად არის აზეფი?**

11 ივლისს გაზეთ „რეჩის" თანამშრომელს და სტაროდვორსკის (ეს უკანასკნელი შლისელბურგის ციხეში იჯდა) გარტინგთან ულაპარაკნიათ. გარტინგს სხვათა შორის, უთქვამს: მართალია მე ერთხელ ლანდეზენის გვარით ვცხოვრობდი, მაგრამ ტყუილია ყველა ის, რასაც მე ბურცევი მწერს. აზეფი ამ ხანად პეტერბურგშია და კარგი ალაგიც უჭირავსო".

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ქარვასლის გადაკეთება.** 30 წელზე მეტია ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი ერთსა და იმავე სადგომში იმყოფება, ფრეილინის ქუჩაზე. შენობა დაძველდა და ბანკის საქმეებიც ისე გაფართოვდა, რომ ძლივს გაჭირვებით ეტევა ეხლანდელს ბინაზე. ბანკის ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას აზრად აქვთ შესაფერი შენობა გამონახონ. როგორც გავიგეთ, თავად-აზნაურთა დეპუტატებისა და მარშლების შეერთებულ სხდომას მოლაპარაკება აქვთ, მოაწყონ ბანკისათვის სადგომი სათავად-აზნაურო ქარვასლაში. შტაბის მხრით ქარვასლა ისე უხეიროდ არის მოწყობილი, რომ სამაღაზიე ადგილები ამდენა შენობაში წელიწადში 2000 მანეთს ძლივს იძლევიან. ქარვასლის ეს ნაწილი რომ გადაკეთდეს, მაშინ შესაძლებელია შემოსავალი 7000 მან. ავიდეს. სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს განზრახვა ჰქონიათ ავანსად მისცენ, თავად-აზნაურობას 40,000 მან. ქარვასლის აღნიშნულ ნაწილის გადასაკეთებლად ბანკის ბინად. თავად-აზნაურთა საკრებულოს აზრადა აქვს აგრეთვე ახლო მომავალში ქარვასლის სამხრეთი ნაწილის ზემო სართულიც შესაფერად მოაწყოს. იმ ადგილას, სადაც სხირტლაძეს საზამთრო ბუფეტი ჰქონდა, ააშენონ ორ სართულიანი სახლი. იქ მოეწყობა საკონცერტო დარბაზი, თავად-აზნაურთა დაწესებულებების სადგომი და სხვა.

✦ **ყალბი ფულის საჭრელი ქარხანა.** როგორც ვწერდით, ყალბი ფულის მოჭრისთვის დააპატიმრეს გაბელაშვილი და რამდენიმე სხვა კაცი. 14 ივლისს პოლიციამ განაგრძო ჩხრეკა და სურფ-კარაპეტის აღმართზე ყალბი ფულის საჭრელი ქარხანა აღმოაჩინა. აქ გაჩხრიკეს ერთი სახლი, მეათე ნომერი, რომლის ქვედა სართულში მოთავსებულია სპარსეთის ქვეშევრდომის ნიშან ტერ-ნიშანოვის სახელოსნო. ტერ-ნიშანოვს მაშინ წაასწრნენ თავზე, როდესაც იგი 5 მანეთიანს ამზადებდა მანქანით. ნიშანოვის ამხანაგი, მიკირტიჩ ბატოსიანცი დარაჯობდა კარებში. სახელოსნოში გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა 96 ცალი ყალბი აბაზიანი და 84 ყალბი ხუთ-მანეთიანი, აგრეთვე ფულის საჭრელი ოთხი მანქანა, სხვა და სხვა ნივთები და იარაღი. დააპატიმრეს ტერ-ნიშანოვი და ტატეოსიანცი.

✦ **გაქურდვა.** გუშინ-წინ, 14 ივლისს, ჯიბგირებმა გაჰქურდეს სამტრედიის მცხოვრები ნიკიტა გოთოშია. გოთოშიამ მონაწილეობა მიიღო ტფილისის სათავად-აზნაურო ბაკის საჯარო ვაჭრობაში და კიდეც შეიძინა დიდუბეში სახლი. დარჩენილ გადასახადების რაოდენობის გასაგებად გოთოშია ქალაქის გამგეობაში შესულა. იქ მოხელეს გოთოშია რამდენიმე ხნით შეუჩერებია. გოთოშია დაქანცული ყოფილა, ამის გამო შესავალ დერეფანში ცოტა ხანს ჩამომჯდარა და კიდეც ჩასძინებია. ამ დროს გაუქურდნიათ ვიღაცეებს. უბეში ხელი ჩაუყვიათ და ბანკში შესატანი 1500 მანეთი ამოუღლიათ. თავზარდაცემული კაცი აქეთ-იქით ეცა, მაგრამ ვის იპოვნიდა! საოცარი ის არის, რომ ქალაქის გამგეობაში მოსამსახურენი ბუზებივით ირევიან და როგორ მოხდა, რომ ეს ქურდობა ვერ შენიშნეს!

✦ **დავა ნავთის ჭალის გამო.** ქალაქის თვით-მმართველობას ხაზინამ დავა აუტეხა „ნავთის ჭალის" გამო. ნავთის ჭალა, ზომით 17 დესეტინა, ორმოცი წელიწადი მაინც არის, რაც ქალაქის მფლობელობაშია. ეს ადგილები ქალაქისთვის გადაუცია წინანდელს ნამესტნიკს ვორონცოვს. ქალაქმა ამ ბოლო დროს ეს ადგილი იჯარით მისცა 9 წლით ერთს მრეწველს. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ ხაზინამ დავა მოსპოს ამ ადგილისა გამო, რადგან ეს ადგილი დიდი ხანია ქალაქის მფლობელობაშია და, გარდა ამისა, ქალაქი დავის აღძვრით დიდს ზარალში ჩავარდება, რადგან დაირღვევა ნავთის მწარმოებელთან დადებული ხელშეკრულება და ქალაქს ჯარიმა გადახდება.

✦ **ყუმბარის გადაგდებისთვის.** ბაქოში სამხედრო სასამართლომ ათი წლის კატორგა გადაუწყვიტა ყაზარიანცს, რომელსაც ჰბრალდებოდა ყუმბარის შეგდება აბრამიანცის სახლში 12 მარტს. სასამართლომ ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს ყაზაროვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

✦ **დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორის დადგენილებით დაჯარიმებულ იქმნენ: მაქსიმე სიგილაძე 10 მან. (ჯარის კაცები შეუშვა სარდაფში ღვინის სასმელად), მეეტლე გრიქოლ გეურქოვი და გრიქოლ სტეფანოვი—2 მ., მედუქნე აბელ ეპიტაშვილი—15 მან. (ამასაც დუქანში ჯარის-კაცები შეუშვია).

✦ **სომხების დაბრუნება ოსმალეთში.** როგორც ყარსიდან სომეხუა საქველ-მოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ, ივლ. 5 400 სომხის ოჯახი აპირებს თურმე ოსმალეთში დაბრუნებას. [illegible] ბის მსურველთ ფული სამგზავრო არა აქვთ [illegible] გადოებას სთხოვენ დახმარებას.

✦ **საქმე მუსა ნაგიევის გატაცების შესახებ.** ბაქოში სამხედრო სასამართლოში დაუწყვიათ გარჩევა ბაქოელ მილიონერის მუსა ნაგიევის გატაცების შესახებ. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები თავ. ი. ბარათაშვილი და ბაიკოვი.

✦ **საფილოქსერო დასები.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა უკვე დაჰგზავნა ფილოქსერასთან საბრძოლი დასები; ერთი დასი გარეთკახეთის სოფლებში წავიდა.

✦ **დაპატიმრები.** 14 ივლის, ჩხრეკის დროს, პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს 8 კაცი.

✦ **სუბსიდია.** ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის შესანახად წელს საერობო თანხიდან გადაიდო 6000 მანეთი.

✦ 14 ივლის პოლიციის მე-5 ნაწილში პოლიციამ დაპატიმრა უცნობი კაცი, რომელმაც თავის თავი ოსმალეთის ქვეშევრდომ არშაკ ჩაკუჩიანცად გამოაცხადა. ჩაკუჩიანცს აღმოაჩნდა პასპორტი აკუნა კოკოიანცის სახელზე.

✦ 14 ივლის ბანაობის დროს მტკვარმა, შერემენტიევის ქუჩის პირდაპირ, ჩაითრია უცნობი კაცი და დაახრჩო. დამხრჩვალის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

# მოწერილი ამბავი

**ბელაგორი.** 4 ივლისს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ სოფ. მოლითში წარმოდგენილ იქნა ვ. ირეთელის პიესა „დამარცხებულნი". წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად, ჩაიარა. უფრო კარგად ჩაივლიდა (შარშან ორჯელ დასდგეს ბელაგორსა და ძირულაში და როლები თითქმის ყველამ იცოდა), რომ ამ დღეს ერთს ინციდენტს არ შეეშალა ხელი. ერთმა სცენის მოყვარე ქალმა რაღაც მიზეზისა გამო ამ დღეს თავი მოიწამლა. კიდევ კარგი აქაური ექიმი ალადევიძე მიეშველა და ქალი გადაარჩინა. ამ გარემოებამ უველა სცენის მოყვარე დაადონა. იმის როლიც და თავის როლიც შეასრულა ნ. დომსაძის ასულმა. ხალხი წარმოდგენას ცოტა დაესწრო, შემოსავალიც მცირე იყო. სცენის მოყვარეთ საკმაო ზარალი მოუვიდოდათ, რომ მათთვის დახმარება არ აღმოეჩინა მღვდელს ი. მხალგრიშვილს. ასეთი გაჭირვება ხშირია, მაგრამ სცენის-მოყვარენი საქმეს მაინც მხნედ ეკიდებიან.

11 ივლისს, მათვე დასდგეს ბელაგორში აზიანის პიესა „ფული და ხარისხი" და ვოდევილი „ბეურქალა და შანტაჟისტები". ამ წარმოდგენამ კიდევ დაგვანახვა, თუ როგორ მუყაითად ეკიდებიან საქმეს სცენის მოყვარენი. კარგები იყვნენ უფრო მოთამაშე ქალები. ამ დღეს გ. კიკნაძემ წარმოდგენას დაუთმო როგორც ეზო, ისე სახლი. სცენა გამართეს აივანზე ხალხი კი ეზოში ისხდა. წარმოდგენაზე მოწვეული იყო მუსიკა შორაპნის დეპოს მუშებისა, მაგრამ ვერ დაესწრო, რადგან საქონლის მატარებლით არ წამოუყვანათ. სახალხო მატარებელი ნაშუადღევის ორ საათზე გამოდის იქიდგან, მაგრამ იმითი არ წამოსულიყვნენ იმ იმედით, რომ საქონლის მატარებლით მაინც წამოვიდოდნენ. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო, მაგრამ შემოსავალი აქაც მცირე იყო. რადგან წარმოდგენები გარედ ეზოში იმართება, ბევრი უბილეთო ხალხი ესწრება, ისეთები კადრულობენ უბილეთოდ შესვლას, რომ სირცხვილით ვერც კი კაუბედავს, კაცი საკადრისი პასუხი გასცეს. უვლდას კარგად მოეხსენება, რომ თავის ჯიბისთვის არასოდეს არ დაუდგავთ აქაურ სცენის მოყვარეებს წარმოდგენები. თუ დარჩება რამე, ისევ ამა თუ იმ სიმპატიურ საქმეს ხმარდება და ზოგიერთები მაინც კადრულობენ უბილეთოდ შესვლას. **რისხვა.**

---

**სოფ. რუისი.** (ქართლი) აქ არსებობს სამინისტრო სკოლა, რომლის ადმინისტრაციაც შესდგება ვგონ მასწავლებლის, მასწავლებელ ქალისა და

---

ჩრდილოეთის გუბერნიიდან უნდა ხდებოდეს ადგილობრივი მმართველობის ნება-ყოფლობით... ერთი სიტყვით, სეიმს უნდა ჰქონდეს უფლება გამოსცეს ისეთი კანონები, რომელნიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ კულტურულ და ტერიტორიალურ საჭიროებებს და თან არ ეწინააღმდეგება საერთო რუსეთის კანონმდებლობას... რაც შეეხება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ეს იქნება ცენტრალური პარლამენტის საქმე... ეს კომპეტენცია,—დასძენს ავტორი,—დროთა განმავლობაში შეიძლება გაფართოვდეს. ეს დამოკიდებული იქნება ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილ ერთა კულტურულად ამაღლებაზეო".[5]) დააკვირდით ყველა ამას. სხვისა არ ვიცი, მეკი სტრიქონებს შუა ბუნდოვანად ავტონომიის აჩრდილს ვხედავ. ეს არ არის აჩრდილი საქართველოს ავტონომიისა, არამედ მარტოდენ ამიერ-კავკასიისა. მაგრამ ეგეც დიდი საქმეა, თუ ბ-ნმა ანმა ოლქებრივი თვითმართველობა ფერმიხდილ ავტონომიად გადააკეთა. ბ-ნ ანის გული მიისწრაფვის კულტურულ დამოკიდებულებისადმი. აქ ავტონომიას არ იხსენიებს, მაგრამ როდესაც ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გაზეთის რედაქციაში ლაპარაკი აღიძრა იმის გამო, რომ ბ-ნი ანი გაცილებით შორს მიდის იმაზე, რასაც ითხოვს პარტია, ბ-ნი ანი (შენიშვნაში) სწერს: „(პარტიულ) დადგენილებაში პოლიტიკური ავტონომია კატეგორიულად უარყოფილია, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის, ხოლო კულტურულ ავტონომიაზე სიტყვაც არ არის შიგ. ასე რომ ეს საკითხი ჯერაც სადისკუსიაო".[6]) როგორც ჰხედავთ, საქმე მართლა ასე ყოფილა და ქვემოდ ბ-ნ ჩხენკელის წერილებში ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ავტორს „ავტონომიისა" აღარ ეშინიან და გაბედულად ითხოვს კულტურულ ავტონომიას... საქართველოსთვის. მაგრამ ბ-ნ ჩხენკელს თავის დროზე ვეწვიოთ. აქ კი კიდევ არის ერთი უცნაური და საეჭვო გარემოება. სახეში მაქვს ტერიტორიის საკითხი. ბ-ნ ანს უნდა, რომ ამიერ-კავკასიის ტერიტორია თვით-მმართველობის კუთვნილებად გამოცხადდეს. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ბ-ნი ანი თვით-მმართველობას იმისთანა საფუძველს აძლევს, როგორც აქვს სახელმწიფურ ერთეულს. ავტონომია ხომ შეცირებული სახელმწიფოა, სახელმწიფო კი ემყარება სამ ელემენტზე—უფლებაზე, ხალხზე და ტერიტორიაზე. და ჩვენის აზრით ის თვითმართველობა, რომელსაც სურს მკვიდრად დამყარება ტერიტორიაზე, ადმინისტრატიულ თვითმმართველობად აღარ ჩაითვლება იგი უფრო ავტონომიას უახლოვდება. მართალია, ეს ავტონომია ფეხებ დაბრეცილია, განუვითარებელი და კრძალვიანი, მაგრამ, როგორც ჩვენი ავტორი იმედოვნებს, ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ჩამორჩენილი ერთ კულტურულად ამაღლდება და მაშინ ნამდვილი ჯანსაღი და ორივე ფეხზე დამდგარი იქნებაო. მაშ თუ მაგრეა, ბ-ნი ანი თითქოს პოლიტიკურ ავტონომიის პრინციპიალური წინააღმდეგიც კი არა ყოფილა. იგი საქართველოს კულტურულ ავტონომიას, ხოლო ამიერ-კავკასიის თვითმართველობას **ტერიტორიაზე** აფუძნებს. ეს არის ჩვენის აზრით, გაუბედავი ნაბიჯი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისაკენ გადადგმული. ესეც კარგია. ესეც დიდ მნიშვნელოვანი საქმეა. აქედან წარმოსდგა, ერთის მხრივ, ის რყევა და ყოყმანი ავტონომიის საკითხში, რომელსაც ჩვენ დავინახავთ ბ-ნ ჩხენკელის წერილებში და აქედამაც წარმოსდგა ის გაბედული ნაბიჯი ამ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც გადასდგა ბ-ნმა დ—ლმა „ალიონ"-სა და „ჩვენ კვალ"-ში.

**არჩილ ჯორჯაძე.**

მიიდან გამოყოფას გადასწყვეტენ, ან თუ ეს პლებისციტი მიეკედლება იმ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიებს, რომელიც შეიძლება ამიერკავკასიაში განხორციელდეს (მაგ. სომხური, თათრული და სხვა), ან კიდევ თუ ცალკე დამოუკიდებელ უფლებრივ სახელმწიფოს შედგენას მოინდომებს, რომელიც ამიერ-კავკასიის სხვა ავტონომიებთან ამა თუ იმ ფორმით იქნება დამოკიდებული, მაშინ საქართველოს ავტონომიაში 16 წმინდა ქართული და ერთი შერეული პროვინცია შევა, ამასთან ამ უკანასკნელს შეეძლება თავისთვის მოითხოვოს მმართველობის განსაკუთრებული ფორმა, ისეთი ფორმა, რომელიც მის მოსახლეთა სურვილს და ინტერესებს უფრო შეეფერება. 3. ბოლოს—ქართული ეროვნული ტერიტორიალური ავტონომია შეიძლება წმინდა ქართულ ოლქებისაგან შესდგეს, ისე რომ არავითარი შერეული ოლქი მასში არ შევიდეს. შერეულ ოლქს შეუძლიან მიიღოს რამენაირი დამოუკიდებელი მმართველობის ფორმა. ასეთია საქართველოს ავტონომიის პრობლემის გადაწყვეტა. ამ სამ გადაწყვეტაში, რომელსაც ობიექტიური პირობები გვიკარნახებენ, რომელი უფრო პრაქტიკული, სამართლიანი და ხალხის უმრავლესობის ინტერესების გამოსადეგი იქნება, ეს ეროვნებათა თანხმობამ და საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელ კრების მიერ საკითხის ყოველმხრივმა და დეტალურმა განხილვამ უნდა გვაჩვენოს. ყოველ შემთხვევაში როგორც უნდა გადაწყდეს საკითხი, ზემოდ დასახელებული ფაქტები თვალნათლივ გვარწმუნებენ, რომ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის შექმნა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია"[4]).

ეს დოკუმენტი გამოქვეყნებული იყო 5 მარტს 1908 წელს. ბ-ნმა ანმა კი თავისი წერილი დასტამბა 2 მაისს 1908 წელს, ე. ი. ორი თვის შემდეგ, თუ ბ-ნ ანს მართლა აინტერესებდა საგანი, მას უნდა გაეწია ანგარიში ამ დოკუმენტისთვის. ეს დოკუმენტი, კერძ დ ჩვენის აზრით, ტერიტორიის საკითხს ვერა სწყვეტს. აქ არა-ქართველთა ინტერესების დაცვა ისე შორს მიდის, რომ თითქოს სჯაბნის ქართველთა ინტერესებს. ბ-ნი ანი კი მაინც ამბობს, „ფედერალისტებს სახეში აქვთ მარტო ქართველობა, მარტო ქართველი ერიო". სინიდისიც კი საქონელია; ვარწმუნებ ბ-ნ ანს, რომ ამ „ხასიათებს" თავი თუ არ დააღწია, დადგება დრო, როდესაც მისს ნალაპარაკევს პრესა არავითარ ანგარიშს აღარ გაუწევს, რადგან პრესა არც ჯირითობაა, არც მასხარობა და არც მკითხველის აბუჩად ამგდები ასპარეზია!

ასეა თუ ისე, ბ-ნი ანი ჰგმობს ავტონომიას და წინ აყენებს ამიერ-კავკასიის საერთო თვითმმართველობას. ვნახოთ, როგორია ეს თვითმმართველობა და როგორა სწყვეტს იგი ეროვნულ საკითხს. ეროვნული საკითხი კი ჩვენი პუბლიცისტების აზრით არის საკითხი ნაციის ენის და ტერიტორიის შესახებ. ამიერ-კავკასიის თვითმმართველობის ორგანო იქნება სეიმი. ამ სეიმის კომპეტენციას ავტორი საზღვრავს ამნაირად: „ჩვენ ამ კომპეტენციის საგნად ვხდით ისეთი კითხვების გადაჭრას, რომელსაც კავშირი აქვს ენასთან და ტერიტორიასთან. მაშასადამე, თვითმმართველობის განკარგულებაში უნდა დარჩეს მთელი ადგილობრივი ტერიტორია. აქაური მიწა-ადგილი ადგილობრივ მცხოვრებთაც ძლივს ყოფნის, ამიტომ სახელმწიფოს მიერ ყოველგვარი გადმოსახლება

[4]) ამირანი N 4. 1908 წ

[5]) «ცნობვრების ხარკე», N 10.

[6]) «ხომლი», 8.

ადგილობრივ მღვდლისაგან, არის სკოლის ბიჭიც. ვაჟების მასწავლებელი, როგორც უფროსი ამათში, უთვედ თვიურად იღებს სკოლის ყველა მოსამსახურისთვის ჯამაგირს და შემდეგ არიგებს. მაგრამ, როგორც შეგვეხსენებათ, ფულმა ცოტა წაცდენა იცის. ასე მოსდის მასწავლებელსაც. სხვა და სხვა მიზეზისა გამო ჯამაგირის დარიგებას აგრე რიგად არა ჩქარობს ხოლმე. ალბად, ქართული ანდაზა: „ხვალაც ამ თვისაა“-ო, სანაქებოდ აქვს შეგნებული და ცხოვრებაშიაც იყენებს. მას წავლებელ ქალს კი ღვთის წინაშე, არ უყოვნებს ჯამაგირის მიცემას, მაგრამ მღვდელს კი ორი თვის ჯამაგირი ჯერაც არ მიუღია. სკოლაში მოსამსახურე ბიჭსაც ერგება „ცოტაოდენი“, ასე ხუთიოდე თვისა! ყველა ამით მასწავლებელი თავის სასარგებლოდ (უკაცრავად, ფულის მისაღებად ხარჯი მოსდის და იმას ირაზღაურებს!) ხარჯს აღებს კერძოდ, მოსამსახურე ბიჭს ამ სახით ჰხდება მანეთ-ნახევრამდე. უნდა კი გამოვიტყდეთ, რომ ვერც მასწავლებელი გეტყვით და არც ბიჭმა იცის დანამდვილებით, თუ რის სათვალავში ჰხდება მას ეს ფული.

ჩვენ, რა საკვირველია, არ გვეინტერესება, თუ რა საქმეს ახმარებს მასწავლებელი როგორც დაჭერილს მთელს ჯამაგირებს, ისე მთელ ჯამაგირიდან დაჭერილს წვლილს, და არც გამოვეკიდებით ამას, რადგან ეს მისი შინაური საქმეა. მაგრამ ამ ორი დღის წინად შემთხვევა მქონდა გამეგო, რომ ამ საქმეს სრული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს: მით უფრო უსიამოვნო გრძნობით ვწერ ამ სტრიქონებს, რომ თურმე აქ არა ერთს სტოდნია და მგრეხ წოდებულს „სკოლის ადმინისტრაციის“ დანარჩენს წევრებსაც არ გამოეპარებოდათ ის უზნეობა რამაც ასეთი ნიჭი და მიდრეკილება გამოიჩინა მასწავლებელმა. ფული სამიკიტნოს დახლებში გადადიოდა და საიდგან მისცემდა ჯამაგირს დანარჩენს მოსამსახურეებს სამაგალითო მედაგოგი და აღმზრდელი. რაღა თქმა უნდა, ამგვარ საქვეყნო საქმეში გართულს დრო არა ჰქონდა, მთელი წლის განმავლობაში ორთა შუა რიცხვით ერთი თვე მაინც ესწავლებინა ბავშვებისთვის. ბავშვები შეიკრიბებოდნენ ხოლმე სკოლაში, ელოდნენ დამრიგებელს, მაგრამ მისი გამოსვლა სასწაულად იყო გადაქცეული. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსული ბავშვები დაიწყებდნენ ხოლმე ყაყანს: „ჰა, მასწავლებელო, თუ გამოხვალ, გამოდი, თუ არა დავიყოფნეთ ამ სიცივეში!“-ო. აი ასეთი ქვეყნის განმანათლებელი არის დღემდე სკოლის სათავეში და, რა თქმა უნდა, თუ ასე „კარგა“ წავიდა საქმე, რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი სოფელი სავსე იქმნება განსწავლული ხალხით. ერთმა გლეხმა მემოძმოხინელა, არაფრად გვაგდებენ, რაკი ტეტიები ვართ და იციან, ჩვენი სიტყვა არსად გავაო. რაღა გულით და ხალისით უნდა გაჰგზავნოს სკოლაში სოფელმა შვილი! იგი ძირს უთხრის სწავლის გავრცელებას სოფლად თავის საქციელით. გასაკვირველია, რატომ ან ადგილობრივი ინტელიგენცია, ან სოფლის მიერ არჩეული მზრუნველნი არ იღებენ ხმას და ანგარიშს არ მოსთხოვენ მასწავლებელს, როდესაც ხელში საკმაო საბუთები უჭირავთ?!

**დემნა მროველი.**

---

**ქ. თელავი.** ამ ბოლო დროს თელავში ძალიან ჩამოცხა. კარში გასვლა შეუძლებელი გახდა. ჭირნახული გვალვამ საგრძნობლად გააფუჭა. პურის და ღვინის მოსავალი წლეულ ძალიან ცოტა იქნება, კარგია კიდევ სიცხე დიდხანს არ გაგრძელდა. 8 ივლისს, ხუთ საათზე, უცბად ცა მოიღრუბლა. ასტყდა საშინელი ქარი, ჭექა და ქუხილი, რომლის ხმამაც გული გაუხეთქა და წუთი სოფელს გამოასალმა ერთი მოხუცი დედაკაცი. მოჰყვა ზედ მსხვილი სეტყვა. მალე სეტყვას წვიმა მოჰყვა, წვიმა თითქმის კოკის პირულ იყო. ერთი საათის შემდეგ ცა მოიწმინდა მზე გამოჩნდა.

აქ შეიპყრეს ერთი ყმაწვილი კაცი. მას აბრალებენ „გარაძავოის“ „უვავის“ მოკვლას. როგორც ხმა დადის გამოტეხილა და კიდევაც ჩამოუთვლია ის პირები, რომელთაც მკვლელობაში მონაწილეობა მიუღიათ.

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა წარმოდგენების მართვა. წარსულ კვირას ქ-ნ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით ითამაშეს „ქრისტინე“. მესამე დღეს დადგეს „სამოცი წლის არშიყი“ და სხვა კომედიები.

ახლოვდება 20 ივლისი ილიას სახელწოდების დღე; შარშან ილიაობის სადამოს პროგრამა ძალიან უფერული იყო. კარგს იზამენ, თუ წელს მაინც უფრო შინაარსიანად მოაწყობენ.

**სოკო.**

---

# კრიტეს საქმე

**საერთაშორისო კონფერენცია.**

პეტერბურგს დიპლომატთა წრეებში ლაპარაკობენ, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის დავის გადასაწყვეტად აუცილებლად საჭირო იქნება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაო.

**ბერძნების დატუსაღება.**

ხმა დადის, რომ ოსმალეთის მთავრობამ ბძანება გასცა, კოსოვოსა, სალონიკისა და მონასტირის ვილაეთებში საბერძნეთის საკონსულოების მდივნები ყველანი დაატუსაღეთო.

პოლიციამ გაჩხრიკა საბერძნეთის საკონსულო მდივანი ქალ. სერესში მნიშვნელოვანი საბუთები ჩაიგდო ხელში.

ოსმალელი მოხელეები ირწმუნებიან, რომ მათ ხელში აქვთ უცილობელი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ საბერძნეთის საკონსულოები მონასტირისა, სერესსა და დრამაში მონაწილეობას იღებდნენ ბერძენთა რაზმების მოწყობაშიო.

სალონიკის მიდამოებში პოლიციამ ბერძენთა გაჩხრეკის დროს ხელში ჩაიგდო 215 თოფი და 8,000 პატრონა. ჩანს, რომ ბერძნები დიდ აჯანყებას ამზადებენ მაკედონიაშიო.

**საბერძნეთის საომარი ბრძანება.**

საბერძნეთის ძველმა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ერთს იტალიელ კერძო მეგემეთა ფირმასთან, რომელსაც თითქმის მზად აქვს ერთი ახალი სწრაფი კრეისერი. საბერძნეთს ამ კრეისერის ყიდვა სწადიან, იტალიური პრესა ამ ფაქტს დიდს მნიშვნელობას აძლევს და ჰფიქრობს, რომ ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის აუცილებელიო.

**საბერძნეთის სამინისტროს სამსახურიდან გადადგომა.**

საბერძნეთის ძველი სამინისტრო, როგორც უკვე ვიცით, სამსახურიდან გადადგა და მის ნაცვლად ახალი სამინისტრო დაინიშნა. ამ ცვლილებას კავშირი აქვს კრიტეს საქმესთან. ბოლოს დროს დიდი მოძრაობა იყო მთელს საბერძნეთში და კერძოდ ჯარში, ამ მოძრაობას სულაც არა აქვს ანტი-დინასტიური ხასიათი; მას მიზნად აქვს საბერძნეთის აღორძინება, კონსტიტუციის გამკვიდრება და ჯარისა და ფლოტის გაძლიერება. ჯარისა და ფლოტის სისუსტე ყველასათვის საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც კრიტეს საქმეზე დაიწყო მოლაპარაკება და ოსმალეთთან განწყობილება გამწვავდა. საბერძნეთის აფიცრობამ, უეჭველია ახალგაზდა ოსმალთა დიდის გავლენით, სამხედრო ორგანიზაცია დააარსეს.

ამას წინად პოლიციამ მოასწრო აფიცერთა კრებას, რომელსაც თავმჯდომარე გაემართა პოლიტიკურს საკითხებზე. კრებაში მონაწილეობას იღებდა 150 აფიცერი. კრება დაუყოვნებლივ დაშალეს და ყველა მისი მონაწილე დაატუსაღეს. ამ გარემოებამ ძლიერ აღელვა აფიცრობა და „ახალგაზდა ჯარმა“ შემდეგი მოთხოვნები წარუდგინა მთავრობას:

კონსტიტუცია ხელუხლებელი უნდა იყოს; ყველა პრინცმა უნდა მიატოვონ ის თანამდებობანი, რომლებიც მათ ამ ჟამად უჭირავთ ჯარსა და ფლოტში. მთავარ-სარდლის თანამდებობა, რომელიც ამ ჟამად უჭირავს მეფის მემკვიდრეს, უნდა მოისპოს; ჯარის ასაღორძინებლად უნდა მოწვეულ იქნას გამოცდილი უცხოელი სამხედრო ორგანიზატორი; უნიჭო უმაღლესი აფიცრები უნდა დაითხოვონ სამსახურიდან.

ჯარის გარდა ხალხიც უკმაყოფილო იყო თეოთოკისის სამინისტროსი, რომელმაც დიდი სისუსტე გამოიჩინა, როგორც შინაგან საქმეებში, ისე გარეშე პოლიტიკაში, და მის სამსახურიდან გადადგომას თხოულობდა. თეოთოკისი იძულებული გახდა შეესრულებინა ხალხის მოთხოვნა; მისმა სამინისტრომ ადგილი დაუთმო რალის სამინისტროს, რომელიც შესდგა ოპოზიციის წარმომადგენელთა. როგორც უკვე ვიცით, ახალ პირველ მინისტრის სალის გამოუცხადებია, რომ მისი უმთავრესი საქმე იქნება—კრიტეს საქმეს მორიგებით გათავება და ოსმალეთთან კეთილ განწყობილების აღდგენაო.

**ბერძნების პროტესტი.**

ბერძნულმა გაზეთმა „ფოროს“-მა დაბეჭდა ბერძენთა ეროვნულ კომიტეტის განცხადება. ბერძენთა კომიტეტი აცხადებს თავის ერთგულებას ოსმალეთისადმი და პროტესტს უცხადებს ოსმალურ პრესას, რომელიც მტრულად უცქერის ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნებსაო. ეს განცხადება კომიტეტმა გაუგზავნა ოსმალეთის მინისტრებს, პარლამენტის წევრებს და სალონიკის გუბერნატორს.

---

# ოსმალეთის ამბები

**კონსტიტუციის აღდგენის დღესასწაული.**

10 ივლისს—კონსტიტუციის აღდგენის წლის თავზე—დიდი დღესასწაული გაიმართა მთელს ოსმალეთში. ოსმალეთის სატახტო ქალაქმა მეტად მხიარულად გადაიხადა ეს შესანიშნავი დღესასწაული.

დილის 9 საათზე სულთანი სადღესასწაულო ეტლით გაემართა ქიშლას ყაზარმებისკენ და იქ საძირკველი ჩაუყარა ძეგლს, რომელსაც უდგამენ აპრილის კონტრ-რევოლიუციის დროს თავისუფლებისთვის თავდადებულ შებრძოლთ. ესენი დასაფლავებულნი არიან ქიშლას ყაზარმებს ახლო გორაკზე, რომელსაც დაარქვეს „თავისუფლების გორაკი“.

საძირკვლის ჩაყრის შემდეგ სულთანი წავიდა ჯარის დასათვალიერებლად. მესამე და მეოთხე კორპუსების ნაწილები და სტამბოლის მთელი მეციხოვნე ჯარი—15 ათასი კაცი—აქვე ახლო მოედანზე იყვნენ გამწკრივებულნი სამ პირად, სულთანი შევიდა სადღესასწაულო კარავში და ჯარმა მწყობრად გაიარა მის წინ პირველ კორპუსის უფროსის მუხთარ-ფაშის წინამძღოლობით.

ჯარის პარადს დაესწრნენ მაკედონელ ბოლგართა მეთაურნი სანდანსკი და პანიცა, და აგრეთვე წინა დღისით მოსულნი ბოლგარელი აფიცრები.

ტახტის მემკვიდრე უსუფ-იზედინი და გენერალისიმუსი მახმუდ შევკეთ-ფაშა სულთნის ამალაში იდგნენ. სულთნის კარვის გვერდით გამართული იყო ჩარდახი მოწვეულ დიპლომატებისა, პრესის წარმომადგენლებისა და სხვებისათვის.

აუარებელი ხალხი შეიყარა პარადის საყურებლად, რადგან 33 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ოსმალეთის სულთანს ჯარი აღარ დაუთვალიერებია.

ბერძნების პატრიარქი არ დაესწრო პარადს. ბერძნებმა დაკეტეს თავიანთი მაღაზიები გალატის უბანში, მაგრამ ბაირაღებით როდი მორთეს, რადგან აკრძალული იყო სხვა ეროვნულ ბაირაღების გაშლა, გარდა ოსმალურისა.

პარადის შემდეგ სულთნის წინ გაიარა მრავალმა კორპორაციამ. ეს—ახალი ამბავია ოსმალეთისთვის.

იმავე დღეს სტამბულში (სტამბოლის ნაწილია) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

სულთანმა გამოაცხადა ამნისტია, რომლის შესახებ უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობა.

საღამოთი სულთანმა გამართა სადღესასწაულო სადილი, რომელზედაც მიწვეულები იყვნენ ყველა უმაღლესი მოხელე და დიპლომატები.

„ერთობისა და პროგრესი“-ს კომიტეტმაც გადაიხადა სადღესასწაულო სადილი ილდიზ-კიოსკში; ამ სადილს დაესწრო ყველა პატრიარქი, გარდა ბერძენთა პატრიარქისა.

**სიკვდილით დასჯა.**

6 ივლისს დილით სტამბოლში სამხედრო სასამართლოს განაჩენის ძალით სიკვდილით დასაჯეს 13 კაცი, მათ შორის დერვიში ვაჰდეტი, გენერალი უსუფ-ფაშა და აბდულ ჰამიდის ადიუტანტად ნამყოფი ჩერქეზ ფაშა.

დერვიში ვაჰდეტი იყო დამაარსებელი რეაქციონურ „მაჰმედიანთა კავშირისა“ და უმთავრესი ხელმძღვანელი 31 მარტის კონტრ-რევოლიუციისა; მას წააქეზებინა ჯარისკაცები ახალგაზდა ოსმალთა აფიცრების დასახოცად.

გენერალი უსუფ ფაშა მეშვიდე კორპუსის უფროსად იყო. მას აბრალებდნენ სომეხთა ჟლეტის მოწყობას; იგი დიდ აგიტაციას ეწეოდა თურმე და ამ აგიტაციას შედეგად მოჰყვა ადანისა და მერსინას საზარელი ამბები. უსუფ-ფაშა აქეზებდა თურმე ჯარის-კაცებს: სომხები დახოცეთ, ეგენი არიან უმთავრესი მიზეზი ოსმალეთის რევოლიუციისაო. სომეხთა ჟლეტის დროს იგი თურმე ორჭოფად მოქმედებდა: სომხებს ეუბნებოდა, რომ თქვენი დახმარება არ შემიძლიან, რადგან ჯარი არა მეყავსო, ხოლო ამავე დროს ჯარისკაცებს აქეზებდა მათ დასახოცად. უსუფ-ფაშას, როგორც აბდულ-ჰამიდის სხვა ერთგულ გენერლებს, საიდუმლო ბრძანება მოსვლოდა ილდიზ-კიოსკიდან: მუსულმანები ქრისტიანებს მიუსიეო.

ჩერქეზ-ფაშა საყვარელი ადიუტანტი იყო აბდულ-ჰამიდისა. ჯარის კაცებს მის ბრძანებით დაუხოცავთ ახალგაზდა ოსმალთა აფიცრები.

დანარჩენი დასჯილები უმეტეს ნაწილად ხოვან როლს თამაშობდნენ კონტრ-რევოლიუციის ამბებში.

**შევკეთ-ფაშა მარტოკა სეირნობს.**

„რეჩ“-ის კორესპონდენტი იუწყება: „ერთხელ მახმედ შევკეთ-ფაშა მემხედა სტამბოლის საზოგადო ბაღში. იგი მარტოდ-მარტო სეირნობდა, ერთი ადიუტანტიც არ ახლდა. ამ ამბავმა ძლიერ გამაოცა. ერთს გავლენიან ახალგაზრდა ოსმალოს ვკითხე: განა არ უშინიან შევკეთ ფაშას, რომ მარტოკა სეირნობს ხალხით სავსე ბაღში მეთქი. მან მომიგო:

— გენერალისიმუსს არავისი არ ეშინიან. ვერავინ გაჰბედავს მის ხელის ხლებასო.

# რუსეთი

**პროვოკატორები.** 7 ივლისს ვილნოს სამოსამართლო პალატამ საინტერესო საქმე გაარჩია. სიმართლეში მიცემული იყვნენ დამცველ პოლიციის აგენტი ხილდებრანდი, ბოქაულის თანაშემწე კრიჟანოვსკი და ვინმე ზაკი. მათ შემდეგი ბრალდებოდათ: 1908 წლის აგვისტოს ოლო რიცხვებში ჟანდარმთა სამმართველოს აფიცერ რეკს მიუღია ცნობა, რომ ქალაქ კოვნოში ხილდებრანდის სახლში ყუმბარას აკეთებენ და შემდეგ მუშა იან რობაშევსკის სადგომში დასდებენ, პოლიციას შეატყობინებენ, რომ რობაშევსკის სახლში ყუმბარაა, გააჩხრეკინებენ მის სახლს და იან რობაშევსკის დააპატიმრებენო. პირველ სექტემბერს აფიცერ რეკისთვის შეუტყობინებიათ, ყუმბარა მზად არის და ემზადებიან პროვოკაციის განსახორციელებლადო. რეკი რამდენიმე პოლიციელით წასულა ხილდებრანდის სახლში და გაუჩხრიკია, რის დროსაც ყუმბარა აღმოუჩენია. ხილდებრანდს რეკის შეკითხვაზე უთქვამს, რომ ყუმბარა ბოქაულის თანაშემწე კრიჟანოვსკის ბრძანებით გავაკეთებინე ჩემი ცოლის ძმას, ზაკსაო. როდესაც ყუმბარა დავამზადეთ, კრიჟანოვსკის შევატყობინე. კრიჟანოვსკიმ პატარა ბარათი გამომიგზავნა. ბარათში ეწერა, ყუმბარა წაიღეთ და როგორმე იან რობაშევსკის სახლში დასდეთო. კრიჟანოვსკის კარგა ხანია ვიცნობ. ვილნოში ერთად ვმსახურებდით მაძებარ პოლიციაში. მერე დავშორდით, კრიჟანოვსკი კოვნოში გადმოიყვანეს. ვილნოდან მე ჯერ სხვაგან წავედი და მერმე კოვნოში მოვხდით. კრიჟანოვსკი აქ ბოქაულის თანაშემწედ იყო, მან პოლიციის აგენტობა მიშოვა. მალე დამიახლოვა და ეს საქმე მომაწყობინაო. თითონ კრიჟანოვსკის სიტყვით მას ამისთანა რამ არ დაუვალებია ხილდებრანდისთვის. მე უთხარი, რომ როზაშევსკი გაეცნო და შემდეგ ხელმოუწერელი ბარათი გადაეცა. ბარათში უნდა სწერებულიყო, რომ იან როზაშევსკის მისი მეგობარი იწვევს. ხილდებრანდის მოვალეობა იყო, თვალი ედევნებინა ვისთან წავიდოდა რობაშევსკიო. მოწმე რეკმა სასამართლოში განაცხადა, რომ როდესაც ხილდებრანდთან მივედი, მან უარი სთქვა, ყუმბარა რად მინდაო. მე გავჩხრიკე სახლი და ყუმბარა ვიპოვე. ჩემ შეკითხვაზე რად გინდოდათ ყუმბარა და თითქო არ ჰქონდათ მეთქი, ხილდებრანდმა სთქვა: „ამას მერე აგიხსნით, ეს ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელოდ კეთდებაო“. მეორე მოწმემ ჟანდარმმა შანკმა სთქვა, რომ ხილდებრანდი მეუბნებოდა, რომ ყუმბარა გავაკეთოთ, იან რობაშევსკის სახლში დავდოთ, პოლიციმეისტერს შევატყობინოთ და ფულს მოგვცემენო და სხვა. სასამართლომ ხილდებრანდს და ზაკს სამ-სამი წლით ტუსაღთა გასყოფილება გადაუწყვიტა, კრიჟანოვსკი გაამართლა!! ხილდებრანდს წინად, აგენტობამდის, საროსკიპო სახლი ჰქონია!!


პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

(დაარსებულია 1880 წელს)

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—128)

---

◀ ს ი კ ვ დ ი ლ ი ▶

ბალლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბალლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—8)

---

იყიდება

სასმელის დუქანი

თამარ-ს ქუჩაზე (მე 9 ნაწილი), № 19. მოლაპარაკება დუქნის პატრონთან. (6—331—6)

---

კანტორა და საწყობი

„სპერმატინისა“

და

„ა ლ მ ე ზ ი ს ა“

გადაღმა ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.

(30—6.—25) **ი ახობაძე.**

---

პროვოდნიკის

1897 წ.

1888

1908 წ.

ამხანაგობა

რ ი გ ა შ ი

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ვალოებით: ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი**

სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ღრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

ვალობით ვაჭრობა ღელა-მიწაზე საუკეთესო კალოშების

„პროვოდნიკი“-სა